

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, №156, 19.08.2005), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მუხლი პირველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – 2 600 ლარი;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტის (ფრაქციის) თავმჯდომარე – 2 000 ლარი;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის (ფრაქციის) თავმჯდომარის მოადგილე – 1 800 ლარი;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი – 1 650 ლარი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 2 ივნისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ბათუმი,
2007 წლის — ივნისი
№ უ.ს.გ.ს.